

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: თურქოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: თურქოლოგიის მაგისტრი/ MA in Turkish Studies

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი მარიკა ჯიქია.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: დღევანდელ მსოფლიოში დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. დღეს ორიენტალისტური კვლევითი და სასაწავლო ცენტრები იხსნება დასავლეთის იმ ქვეყნებში და უნივერსიტეტებში, სადაც აქამდე

ასეთი ინტერესი არ არსებობდა. მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა მოთხოვნილების ზრდა აღმოსავლური ენების სპეციალისტებზე.

ქართული ორიენტალისტური სკოლა კი ცნობილი და აღიარებულია მსოფლიოში და ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ სამეცნიერო წრეებში. აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის სათავეებთან მდგომ დიდ ქართველ მეცნიერებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ამ სკოლის განვითარების გამორჩეული როლი. აღმოსავლეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობა ბუნებრივად მოითხოვს ჩვენი ქვეყნისგან სათანადო პრობლემეტიკისა და ცოდნის ფლობას, რაც აღმოსავლეთმცოდნეობას საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგად აქცევს.

თურქული ენა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება დღიდან მისი დაარსებისა ჯერ ფილოლოგიის ფაკულტეტის ფორმატში (აკაკი შანიძე, სერგი ჯიქია), 1945 წლიდან კი ქართველ ორიენტალისტთა ინიციატივით დაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების

განყოფილებებზე. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებიდან მოყოლებული თურქოლოგიის კათედრა ამზადებდა აღმოსავლეთმცოდნე – ფილოლოგებს.

მიმდინარე სამაგისტრო პროგრამა ორგანული გაგრძელებაა საბაკალავრო major პროგრამისა თურქულ ენასა და ლიტერატურაში. იგი მოამზადებს თურქოლოგიის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული ორიენტალისტური სამეცნიერო სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრებს როგორც საკუთრივ თურქოლოგიური, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის.

შედეგები: მიმდინარე სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი იქნება ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ექნება შესაბამისი სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად. ასევე მას შეეძლება დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. მაგისტრს ექნება ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად იქნება დაუფლებული აღმოსავლური (და კერძოდ, თურქული) ფილოლოგიის სპეციალობას, შეეძლება მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. მისი კომპეტენცია მიწვდება სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

მაგისტრს ექნება უნარი სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავებისა და სინთეზისა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. შეეძლება საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის

ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს:

- უმაღლეს საწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დამხმარე-ტექნიკური საქმიანობისთვის,
- სამეცნიერო დაწესებულებებში (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტებში),
- გამომცემლობებში,
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში,
- ბიბლიოთეკებში,
- არქივებსა და მუზეუმებში,
- სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის. მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს “შრომით ბაზარზე” არსებობს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი თურქული ენისა და ლიტერატურის, ან ისტორიის სპეციალობით.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კურსის კრედიტების საერთო რაოდენობა
	თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
	თურქოლოგიური ენათმეცნიერება	სავალდებულო	5
	თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალურ-საქმიანი სტილი	სავალდებულო	5
	ლექსმცოდნეობის ანალიზის პრინციპები და თურქული პოეტიკა	სავალდებულო	5
	ადმოსავლური პოეზია და მისი ფილოსოფიურ- რელიგიური წყაროები	სავალდებულო	5
	ოსმალური დიპლომატიკა და პალეოგრაფია	სავალდებულო	5
	საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები	სავალდებულო	5
	სპეცკურსი თურქულ ლიტერატურაში	არჩევითი	5
	სპეცკურსი თურქულ ენაში	არჩევითი	5
	ტრადიციები და თანამედროვეობა თურქულ ლიტერატურაში	არჩევითი	5
	თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა	არჩევითი	5
	თურქული პრესის ენა	არჩევითი	5
	ოსმალური ენა	არჩევითი	5
	თურქული ფრაზეოლოგია	არჩევითი	5
	აზერბაიჯანული ლიტერატურა	არჩევითი	5
	თურქეთის საზოგადოებრივ- პოლიტიკური განვითარების ისტორია	არჩევითი	5
	თურქეთის ეთნოლოგია, მხარეთმცოდნეობა, კულტურა	არჩევითი	5
	თურქეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი	არჩევითი	5
	აზერბაიჯანის ისტორია	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი		30
	სულ		120

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

ბილეთში შესული საკითხებიდან 25 - 25 ქულით შეფასდება ენისა და ლიტერატურის საკითხები; 30 ქულით (15 -15) - ქართულიდან თურქულად და თურქულიდან ქართულად წინადადებების თარგმნა, ხოლო 20 ქულით (10-10) - უცხო და ნაცნობი ტექსტების შინაარსის გადმოცემა.

საგამოცდო საკითხები

1. შემასმენლობითი, კუთვნილებითი და ქონა-ყოლის კატეგორიები თურქულ ენაში.
 2. ბრუნება. ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები. იზაფეტი თურქულ ენაში.
 3. დრო-კილოთა სისტემა თურქულში (მარტივი და რთული დროები).
 4. გვარის კატეგორია.
 5. სახელზმნები. მასდარი. შეკვეცილი მასდარი. მიმღობები. -dik- და -acak- ფორმები. აბსოლუტივები (დროისა და ვითარების).
 6. კავშირები. მარტივი და რთული კავშირები. თანდებულები. თანდებულთა კლასიფიკაცია. თანდებულთა განაწილება ბრუნვებისა და მეტყველების ნაწილების მიხედვით. ნაწილაკები. შორისდებულები.
 7. სინტაქსური კავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა.
 8. მარტივი წინადადება. მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადებები. სიტყვათა დომინანტური რიგი მარტივ გავრცობილ წინადადებაში -SOV. სიტყვათა შებრუნებული რიგი და devrik cümle -ს სახეობები.
 9. რთული წინადადება. რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები. უკავშირო და კავშირიანი თანწყობილი წინადადება. დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი, პირობითი, დათმობითი და მიზეზობითი დამოკიდებული წინადადებები და მათი კავშირის ფორმები მთავარ წინადადებასთან.
 10. წინადადების გავრცობილი წევრები. მაქვემდებარებელი კავშირების ნაკლებობა თურქული ენაში. დომინანტური მარტივი წინადადებები გავრცობილი წევრებით.
1. სუფიზმის წარმომადგენლები თურქულ ლიტერატურაში (სულთან ველედი, ჯალალედინ რუმი, აშიქ ფაშა, იუნუს ემრე)
 2. სუფიზმის ძირითადი დამახასიათებელი მოტივები (ზოგადი მიმოხილვა)
 3. თურქული რომანტიკული პოეზიის მიმოხილვა (მიჰრი ხათუნი, ისან ეჯათი, ბაქი)
 4. დაცემის ხანის თურქული მწერლობა (ნეფი, ნედიმი)
 5. არაბულ-სპარსული ნასესხები ჟანრების დამკვიდრების ხანა თურქულ ლიტერატურაში (რევანი ედირნელი"İşret Name" ისა მესიჰი"Şehrengiz")
 6. ფეჟრიათის ლიტერატურა
 7. რეფორმების პერიოდის ანუ "თანზიმათის" მწერლობის იდეოლოგიური მიმოხილვა
 8. ახალი ლიტერატურა ანუ "სერვეთი ფუნუნის" მწერლობის ზოგადი დამახასიათებელი
 9. თურქული სიმბოლისტური პროზა : აჰმედ ჰამიმი
 10. პოსტმოდერნიზმი თურქულ ლიტერატურაში :
 11. ორჰან ფამუქი, ლათიფე თექინი, ოლუზ ათაი.

ლიტერატურა:

1. უცხო ტექსტები იქნება შერჩეული საენათმეცნიერო ჟურნალიდან Türk Dili.
2. ნაცნობი ტექსტები იქნება შერჩეული შემდეგი სახელმძღვანელოებიდან:
"Türkçe Okuma Kitabı" ი. გოცირიძე
"Türkçe Okuma Kitabı Sözlüğüyle" ე. კვანტალიანი

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ
მარია ჯიქიას. ტელ: 231437 (ბინა);
220301 (სამსახური) ელ-ფოსტა: marikajikia@hotmail.com; marinajikia@gmail.com